


შესავალი

- აქადური ენა

აქადურ ენაზე მეტყველებდნენ ძველ მესოპოტამიაში ასურელები და ბაბილონელები. მესოპოტამია ეწოდება “ორ ზღვას” – ევფრატსა და ტიგროსს შორის არსებულ ტერიტორიას (თან, ერაყი). სახელწოდება „აქადური“ თავად აქადური ცნებაა. Akkadûm, თავისთავად მომდინარეობს აქადის სახელმწიფოს დედაქალაქის სახელწოდებიდან - Akkad(e). ეს ქალაქი სამწუხაროდ ჯერჯერობით აღმოუჩენელია. იგი დაახლ. ძვ. წ. 2300 წელს დააარსა სარგონ მეფემ და თავისი სამეფოს დედაქალაქად დაადგინა.

აქადური დღესდღეობით ყველაზე ძველი ენაა სემიტურ ენათა ოჯახისა. სხვა სემიტური ენებია: არაბული, არამეული, ეთიოპური და ებრაული. აქადური, ახლად აღმოჩენილ ებლაურ ენასთან ერთად ებლას სამეფო მდებარეობდა თან, სირიის ტერიტორიაზე), შეადგენს აღმოსავლეთ სემიტურს, ხოლო სხვა სემიტური ენები განეკუთვნებიან დასავლეთ სემიტურ შტოს.



დაუდგენელია, თუ როდის მოვიდნენ პირველად აქადურ ენაზე მოლაპარაკეები მესოპოტამიაში. ამ დამწერლობის პირველი ნიმუშები მოგვეპოვება ძვ. წ. XXVI-ე საუკუნიდან, როდესაც გვხვდება საკუთარი სახელები. ძვ. წ. XXIV-ე საუკუნიდან კი მოგვეპოვება უკვე გაბმული ტექსტები. საუკუნეთა განმავლობაში ეს ენა შეიცვალა

არამეულით, მაგრამ იგი მაინც გამოიყენებოდა ლიტერატურისა და მეცნიერებისათვის ძვ. წ. I საუკუნემდე.

ამის შემდეგ დიდმა დრომ განვლო და აქადური ენა დავიწყებას მიეცა. მე-XVII საუკუნეში ევროპელმა მოგზაურებმა ახლო აღმოსავლეთიდან თიხის ფირფიტების ჩამოტანა დაიწყეს. დამწერლობის გაშიფრვის პირველი მცდელობები კი მხოლოდ მე-XIX საუკუნეში შედგა, როდესაც აქადურ-ძველ სპარსულ-ელამურ ენებზე შესრულებული გამო სამენოვანი (ტრილინგვალური) წარწერა აღმოჩნდა. ყველაზე მარტივი ძველი სპარსული ენის გაშიფრვის იყო, რის შემდეგ შესაძლებელი გახდა უკვე აქადური ენის გაშიფრვაც. 1850 წლისათვის დადგინდა გრამატიკის ძირითადი ნაწილიც. მას შემდეგ აურაცხელი ტექსტი გამოქვეყნდა, შედგა ლექსიკონები. დღესდღეობით აქადური ენა, შეიძლება ითქვას, კარგად, მაგრამ, როგორც სხვა ლურმული დამწერლობის ენები, ჯერჯერობით ბოლომდე არ არის შესწავლილი.


წინა აზიის ტერიტორიაზე ნაპოვნია ასიათასობით თიხის ფირფიტაზე შესრულებული აქადური ტექსტი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ყოველ წელს ახალი ტექსტები ჩნდება. მრავალი ტექსტი ჯერაც გამოუქვეყნებელია და ელოდება მკვლევარებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქადური ტექსტები უმეტესწილად, შესრულებულია თიხის ფირფიტებზე. თიხაზე წერდნენ ლერწმის ტოტისაგან დამზადებული „კალმით“. ფირფიტის ზომა მერყეობდა 2,5 სმ.-დან 45 სმ.-მდე; ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო მართკუთხედი ფორმა.

- **აქადური ენის დიალექტები**

დროთა განმავლობაში ყველა ენა იცვლება. ეს დამოკიდებულია მრავალ ასპექტზე და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაზე. როგორც ცნობილია, აქადის სამეფო ორად გაიყო და წარმოიშვა ასურისა და ბაბილონის სამეფოები. სწორედ ამან გამოიწვია აქადური ენის ორ დიალექტად გაყოფა. ბაბილონური და ასურული დიალექტები შემდგომ დამოუკიდებლად განვითარდნენ და დაახლ. ძვ. წ. I საუკუნისათვის საერთოდ შეწყვიტეს არსებობა.

ძველი აქადური (ძვ. წ. 2500-2000)



ყველაზე ძველი აქადური ტექსტების ენას **ძველი აქადური** ეწოდება. ეს არის სარგონის, ნარამ-სინის, აქადის სხვა მეფეთა და ურის III დინასტიის დროინდელი ტექსტები. მოგვეპოვება აგრეთვე ძველი აქადური წერილები, სამართლებრივი დოკუმენტები, ეკონომიკური საბუთები, სამეფო წარწერები და მცირე რაოდენობით ლიტერატურული ტექსტები.

მეორე ათასწლეულსა და პირველ ათასწლეულში მესოპოტამიაში ორი გეოგრაფიული დიალექტი წარმოიშვა, ჩრდ. ასურეთში – **ასურული** და სამხრეთში – **ბაბილონური**. ლინგვისტურად ისინი ერთმანეთისაგან რიგი ფონოლოგიური, მორფოლოგიური თუ ლექსიკური თვისებებით განსხვავდებიან. საინტერესოა, რომ ასურული და ბაბილონური დამწერლობაც კი დამოუკიდებლად ვითარდებოდა.

ძველასურული ენა ცნობილია 15 000 წერილიდან და სამართლებრივი და ეკონომიკური დოკუმენტიდან. უმეტესი მათგანი ნაპოვნია კაბადოკიაში (აღმ. თურქეთი), კერძოდ კი, ქანესში (იგივე ნესა, თან. ქიულთეფე). აგრეთვე ანატოლიისა და ასურეთის სხვადასხვა რეგიონებში. ამ დოკუმენტთა უმრევლესობა შეიცავს ცნობებს ანატოლიაში ასურელი ვაჭრების მოღვაწეობაზე.

შუა ასურული ძალიან მწირად არის გადმოცემული. ამის მიუხედავად, ხელთა გვაქვს წერილები, სხვადასხვა ჟანრის ტექსტები, სამართლებრივი და ეკონომიკური ტექსტები და ასურეთის სამეფოს მეფეთა წარწერები. რაც ყველაზე საინტერესოა, ჰარემის კოდექსი და 14 ფირფიტიანი შუა ასურული კანონები, რომლებიც ქალაქ აშურში აღმოჩნდა.

ახალასურული ასურეთში ძვ. წ. I ათასწლეულში, ძვ. წ. VII საუკუნემდე, ანუ ასურეთის სამეფოს დაცემამდე, სალაპარაკო ენა იყო. მოგვეპოვება დიდი რაოდენობით წერილები და ადმინისტრაციული ტექსტები, აგრეთვე სამეფო წარწერები და სამეცნიერო „ნაშრომები“. როგორც ყველა პერიოდში, ლიტერატურული ტექსტები ამ დროსაც ბაბილონური დიალექტის ლინგვისტურ გავლენას განიცდიდნენ.

ძველბაბილონური სამხრეთ მესოპოტამიის აქადური ბაბილონის სამეფოს პირველი დინასტიის პერიოდში არსებობდა.

შუა ბაბილონური იმ პერიოდის ენაა, როდესაც ბაბილონში კასიტები ბატონობდნენ. შუა ასურულის მსგავსად, შუა ბაბილონურიც ნაკლებადაა გადმოცემული. იგი უმეტესად წერილებიდან, სამართლებრივი დოკუმენტებიდან, ეკონომიკური ტექსტებიდან, სამეფო წარწერებიდან და სასაზღვრო ქვებიდან (ქუდურუებიდან) არის ცნობილი.

ჯერ კიდევ კასიტების პერიოდიდან, ძველი ბაბილონური ორივე სამეფოს, ბაბილონისა და ასურეთის მწერალთა კლასიკურ, სალიტერატურო (მწერლობის) ენად იქცა. **სტანდარტული ბაბილონური** არის დიალექტი, რომელზეც შესრულებულია ისეთი მნიშვნელოვანი თხზულებანი, როგორიცაა *ენუმა ელიში* და *გილგამეშის ეპოსი*. აგრეთვე მრავალი ლიტერატურული ტექსტი და სამეფო წარწერა.

ძველი ბაბილონური პერიოდიდან დაწყებული, განსაკუთრებით კი, II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, აქადური, კერძოდ კი მისი ბაბილონური დიალექტი, როგორც საერთაშორისო ენად - *lingua franca*-დ გამოიყენებოდა. დიდი რაოდენობით აქადური ტექსტია ნაპოვნი მესოპოტამიის გარეთ, სირიაში - უგარიტსა (რას შამრა) და ემარში (თელ მესქენე, თან. სირია), თურქეთში - ხათუსასა (თან. ბოლაზქოი, ხეთების სამეფოს დედაქალაქი) და ალალახში (თელ აჯანა), აგრეთვე ეგვიპტეში – ელ ამარნაში. ენას, რომელზეც არაქადი წარმოშობის მწერლები წერდნენ, **პერიფერიული აქადური** ერქვა; მისი გრამატიკა ნაწილობრივ მესოპოტამიური აქადურისაგან განსხვავდება და ადგილობრივ მწერალთა ენათა გავლენა ეტყობა.

ახალბაბილონური სალაპარაკო ენა იყო სამხრეთ მესოპოტამიაში ასურეთის სამეფოს არსებობის ბოლომდე. ნაპოვნია დიდი რაოდენობით წერილები და ადმინისტრაციული დოკუმენტები. ხოლო ლიტერატურული და მონუმენტური ტექსტებისათვის გამოიყენებოდა **სტანდარტული ბაბილონური**.

- **აქადური და შუმერული**

როგორც ცნობილია, პირველი დამწერლობის ნიმუშები სწორედ მესოპოტამიიდან, დაახლ. ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოდან მოგვეპოვება. ეს დამწერლობა და ენა იყო შუმერული. შუმერული ენა არ განეკუთვნება სემიტურ ენათა ოჯახს და საერთოდ, არცერთ სხვა ენათა ოჯახს. აქადელებმა შუმერებისაგან დამწერლობა შეითვისეს და თავიანთ სემიტურ ენას მიუსადაგეს. საუკუნეების განმავლობაში, შუმერული და აქადური ენები ერთად არსებობდნენ მესოპოტამიაში და დიდი გავლენა მოახდინეს ერთმანეთზე. აქადურში ვხვდებით დიდი რაოდენობით შუმერულ სიტყვებს, ისევე, როგორც შუმერულში აქადურს. შუმერული ენა, როგორც სალაპარაკო ენა, აქადურზე ადრე გაქრა. ეს დაახლ. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსთვის უნდა მომხდარიყო. მაგრამ იგი კიდევ დიდხანს არსებობდა სამეცნიერო და სალიტერატურო ენად, როგორც მაგ. ლათინური შუასაუკუნეების ევროპაში.

- **აქადური ლურსმული დამწერლობა**

აქადებმა თავიანთი ენის გადმოსაცემად გამოიყენეს შუმერების მიერ შექმნილი ლურსმული (სოლისებრი) დამწერლობა. ყოველი ნიშანი შედგება ერთი ან მეტი სოლისაგან. ეს სოლები შეიძლება იყოს ჰორიზონტალური, ვერტიკალური, სამკუთხედი, (ზემოთ და ქვემოთ) დახრილი.

განსხვავდება ლურსმულ ნიშანთა სამი ტიპი:

ლოგოგრამა – გადმოსცემს ერთ ან რამდენიმე სხვადასხვა სიტყვას. მაგ. ნიშანი AN - *ilum*, (შუმ. DINGIR) “ღმერთი”, *šamû* (შუმ. AN) “ცა” და *anum* (შუმ. AN) “ანი, ცის ღვთაება”

ფონოგრამა – ერთი ნიშანი შეესაბამება ერთ მარცვალს, მაგ. (NA) შეესაბამება მარცვალ ნა-ს, ნიშანი (UM) შეესაბამება მარცვალ უმ-ს.

დეტერმინატივი – დგას სიტყვის წინ ან უკან და განსაზღვრავს ამ სიტყვის სემანტიკურ კლასს. მაგ. ნიშანი (AN) დეტერმინატივია ღვთაებების სახელებისა, ნიშანი (MES) მრავლობითი რიცხვის სიტყვებისა.

ფონოგრამების ტიპები:

არსებობს ფონოგრამების ოთხი ტიპი: 1. თანხმოვანი+ხმოვანი (la); 2. ხმოვანი+თანხმოვანი (am); 3. თანხმოვანი+ხმოვანი+თანხმოვანი (lam) და 4. ხმოვანი (a).

ლოგოგრამული და სილაბური ორთოგრაფია:

ბევრი სიტყვა შეიძლება იწერებოდეს როგორც ლოგოგრაფიულად, ასევე სილაბურად. მაგ: *rabûm* “დიდი” (GAL) შეიძლება დაიწეროს სილაბურადაც (*ra-bu-um*).

- **აქადური ბგერები**

იმის გამო, რომ დღესდღეობით აღარ არის აქადურ ენაზე მოსაუბრე ხალხი, ძნელია, ზუსტად გაარკვიო, როგორ გამოთქვამდნენ ისინი თავიანთ ბგერებს. მეცნიერები ცდილობენ სხვა სემინურ ენათა დახმარებით დაადგინონ აქადური ენის ფონოლოგია.

- **ხმოვნები**

აქადურში 4 მოკლე და 4 გრძელი ხმოვანია:

მოკლე	გრძელი
a, e, i, u	ā, ē, ī, ū
	â, ê, î, û

მოკლედ და გრძელ ხმოვნებს შორის განსხვავება ძირითადად მათი წარმოთქმის ხანგრძლივობაშია. შესაძლებელია, სიტყვაში ხმოვნის სიგრძემ შეცვალოს სიტყვის მნიშვნელობაც, მაგ:

mutum – „ქმარი“	mūtum – „სიკვდილი“
dannatum – „ციხე-სიმაგრე“	dannātum – ციხე-სიმაგრეები

- **თანხმოვნები**

b – ბ	d – დ	g – გ	k – ქ	q – კ	l – ლ	ḥ – ხ	
m – მ	n – ნ	p – ფ	r – რ	s – ს	š – ც	' – ალევ	
š – შ	t – თ	ṭ – ტ	w – ვ	y – ქ	z – ზ		

	<i>მჟღერი</i>	<i>ყრუ</i>	<i>ხშული</i>
	ბ	ფ	
დ	თ	ტ	
გ	ქ	კ	
ზ	ს	ც	

აქადურ ლექსიკონში ბგერათა შემდეგ თამნიმდევრობას ვხვდებით:

a, b, d, e, g, ḥ, j(y), k, l, m, n, p, q, r, s, š, š', t, ṭ, u, w, z.

- **დამარცვლა**

ლურსმული დამწერლობა მარცვლოვანი დამწერლობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვის გადმოსაცემად იგი უნდა დაემარცვლათ და ისე გადმოეცათ. არსებობს სამი ძირითადი წესი აქადური სიტყვის დამარცვლისათვის:

- ა) ყოველ მარცვალს აქვს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ხმოვანი;
- ბ) მარცვალი არ შეიძლება დაიწყოს ხმოვნით. გამონაკლისია: სიტყვის დასაწყისი;
- დ) მარცვალი არ შეიძლება დაიწყოს ან დამთავრდეს ორი თანხმოვნით.

მაგ:

balāṭi: ba/lā/ṭi	ītenepuš: ī/te/nep/puš	kiam: ki/am ან ki'am: ki'am
elûm: e/lûm	narkabtum: nar/kab/tum	
šabat: ša/bat	epištašu: e/piš/ta/šu	